საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCIS

ცხოველების სამკურნალწამლო საშუალებებისა და მათი გამოყენების შესახებ

(ვეტექიმის დასახმარებლად)

თბილისი

2018

UDC(უაკ) 636.09+619
გ-927
ლ-928

რეკომენდაციის ავტორები:

ჯემალ გუგუშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მურმან ლომინეიშვილი - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი, ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი.

რეცენზენტი:

შადიმან ფოცხვერია - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

ISBN 978-9941-8-09367-3

სსმმ აკადემია
გამომცემლობა „აგრო“

რ ე ც ე ნ ზ ი ა

ვეტექიმის დამხმარე ბროშურაზე - „ცხოველების სამკურნალწამლო საშუალებებისა და მათი გამოყენების შესახებ“

წარმოდგენილი ბროშურა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი ეხება ვეტერინარიის დარგისა და სავეტერინარო საქმიანობის მნიშვნელობას. მასში მოკლედაა აღწერილი დარგის განვითარების ეტაპები და საქართველოში ამ მიმართულებით ამჟამად არსებული ვითარება. ყურადღება გამახვილებულია სავეტერინარო საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ცხოველების სამკურნალწამლო საშუალებებსა და მათი მოხმარების ზოგიერთ საკითხზე. პრიორიტეტულად არის მიჩნეული ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენება; საუბარია ანტიპარაზიტულ საშუალებათა მოხმარების წესებზე, აგრეთვე, ვიტამინების, ფუტკრის ცხოველმყოფელობის პროდუქტების სარგებლიანობის, ანტიბიოტიკებისა და ფიტონციდების ოპტიმალურად გამოყენების მეთოდებზე. ბროშურაში მოკლედ არის აღწერილი ცხოველების მოწამვლების დროს გამოსაყენებელი პირველადი დახმარების საშუალებები.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ ვეტექიმის დამხმარე ბროშურაში განხილული საკითხები აქტუალურია, ხოლო წინადადებები ცხოველების დაავადების განსახორციელებელ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მეცხოველე ფერმერებს ცხოველთა ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების სწორად დაგეგმვასა და ამ მიზნით საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი ბროშურის - ვეტექიმის დასახმარებლად „ცხოველების სამკურნალწამლო საშუალებებისა და მათი გამოყენების შესახებ“ გამოცემა.

შადიმან ფოცხვერია
ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრის მთავარი სპეციალისტი,
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი

შესავალი

მედიცინის მამად წოდებულმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ჰიპოკრატემ, შორეულ ისტორიულ წარსულში ადამიანის მტანჯველი ათასამდე სენი აღწერა, მათ შორის ისეთებიც რომლებიც ცხოველებს აავადებდნენ. უმრავლესობა ამ სნეულებებისა დღეისათვის ცნობილია როგორც ადამიანიდან ადამიანზე, ცხოველიდან ცხოველზე, ასევე ცხოველიდან ადამიანზე გადამდები დაავადებები. სწორედ ამ სფეროში ეწევა ვეტერინარია, როგორც „დიდი მკურნალი“თავის პროფესიულ მოღვაწეობას.

ტერმინი „ვეტერინარია“ ადრეულ ხანებში არაფრისმთქმელი იყო. იმ დროისათვის ვეტექიმის პროფესია იშვიათობას წარმოადგენდა. დღეისათვის კი ვეტერინარია მეცნიერების ერთერთ წარმმართველ დარგად არის ჩამოყალიბებული და სოციალური პროგრესის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან და უცვლელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ვეტერინარია, (ლათინ. Veterinus-ცხოველთა შესახებ; veterinarius-ცხოველის მომვლელი, ცხოველის მკურნალი), ანუ რაც იგივეა-ვეტერინარული მედიცინა თანამედროვე მეცნიერულ და პრაქტიკულ მიღწევათა გაგებით არის სწავლებათა სისტემა ცხოველთა ორგანიზმის აგებულებაზე, მათ ცხოველქმედებაზე, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეთიოლოგიასა და განმასხვავებელ ნიშნებზე, დიაგნოსტიკის მეთოდებზე, პროფილაქტიკასა და მკურნალობის საშუალებებზე, ეპიზოოტიების აღმოცენებასა და მათ სალიკვიდაციო ღონისძიებებზე და რაც უმთავრესია ზოოანთროპონოზულ სნეულებებისაგან ადამიანთა დაცვის მეთოდებზე. ვეტერინარია სწავლობს ცხოველთა, გადამდები და არაგადამდები დაავადებების, შორეულ თუ უახლოეს წარსულში ჩასახვისა და შემდგომი განეზისის საკითხებს; მოცემულ კონკრეტულ დროსა და სივრცეში აღმოცენება-გავრცელების მიზეზებს და რაც მნიშვნელოვანი და ძირითადია მათი თავიდან ასარიდებელი და ეფექტიანი მკურნალობის მეთოდებს. ვეტერინარიის ერთ-ერთი ყველაზე მეტად პრობლემური და საპასუხისმგებლო საქმიანობაა ცხოველისა და ადამიანის საერთო, ანუ ზოოანთროპონოზული სნეულებებისაგან ადამიანის დაცვის საშუალებების ძიება შემუშავება-სრულყოფა და პრაქტიკაში რეალიზაციის განხორციელების ხელშეწყობა. ვეტერინარიის ერთერთი გამორჩეულად მთავარი ფუნქცია ამასთან არის, ცხოველთა ჯიშობრივი სრულყოფის ხელშეწყობით პროდუქტიულობის ამაღლება და მეცხოველეობის პროდუქტების სანიტარული ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიება.

„სახელმწიფო ვეტერინარია“- ამ მცნების ქვეშ იგულისხმება, სპეციალურ საზოგადოებრივ-პროფესიულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური წყობის სახელმწიფოსათვის საციცოცხლოდ აუცილებელია.

ის ძირითადად სახელდებულია, როგორც „ქვეყნის ვეტერინარული სამსახური“, ან „ქვეყნის ვეტერინარული საქმე“.

ვეტერინარია, როგორც სამეცნიერო სფეროს ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი თავის თავში მოიცავს ანატომიას (ნორმალურსა და პათოლოგიურს), ფიზიოლოგიას (ნორმალურსა და პათოლოგიურს), ჰისტოლოგიას, მიკრობიოლოგიას, პარაზიტოლოგიას, ვირუსოლოგიას, კლინიკურ დიაგნოსტიკას, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შინაგანი არაგადამდები დაავადებების კერძო პათოლოგიასა და მკურნალობას, ფარმაკოლოგიას, ტოქსიკოლოგიას, ქირურგიას, მეანობა-გინეკოლოგიას, ცხოველთა ხელოვნურ დათესვლას, ზოოჰიგიენას, ეპიზოოტოლოგიას, ვეტერინარულ-სანიტარულ ექსპერტიზას, სასამართლო ვეტერინარულ სამსახურს და სხვ.

1. მოკლე ისტორიული ცნობები

ისტორია ცხოვრების მასწავლებელია (ლათ. Historj est magistra vithae) და ამას ადამიანის განვლილი ცხოვრების ანალიზი ადასტურებს. წარსულის ცოდნა გვეხმარება რეალურად შევიმეცნოთ არსებული მდგომარეობა, სწორად დავგეგმოთ და შეუცდომლად განვახორციელო შემდგომი საქმიანობა.

უხსოვარ დროში, ცხოველთა მოშინაურების საწყისი პერიოდიდან ---- (იხ. ცხრილი) ქურუმები იმასთან ერთად რომ უვლიდნენ, ინახავდნენ და ამრავლებდნენ ე.წ. „წმინდა ცხოველებს“ დაკავებული იყვნენ მათი მკურნალობითაც. დროთა განმავლობაში ეს საქმიანობა გაძლიერდა, განვითარდა და მიიღო სისტემური სახე, ცალკე დარგად ჩამოყალიბების ტენდენციით. ძველი წელთაღრიცხვის 3100-2230 წლებში დაიწერა “კახუნ“-ის ვეტერინარული პაპირუსები რომელიც ნაპოვნი იქნა 1899 წელს. უძველესი ვეტერინარული დოკუმენტის „ჰამურაბის კოდექსი“-ს თანადროულად არსებული და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები წარმოადგენდნენ, იმდროინდელი ვეტსპეციალისტების მოქმედების კანონმდებლურ საფუძვლებს. ვეტერინარიის მსახურნი, ვეტერინარი ექიმების სტატუსით სპარსეთში, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 1500 წლიდან არსებობდა. ავესტა-ს რელიგიოზურ წიგნში (ძვ.წ. 500-600 წლები) გადმოცემულია ადამიანის, მრპ და ცხვრის სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის ინსტრუქციები. ჩინეთის იმპერატორ ჩოუ-ს დროინდელ სასახლეში მოქმედებდა ვეტერინარული სამსახური ექვსი ვეტერინარის წარმომადგენლობით, მათგან ორი სამხედრო მიმართულებით. თანგ-ის დინასტიის მმართველობისას (7-9სს.) ჩინეთში საქმიანობდა ვატარინარიის 4 პროფესორი და 600 ვეტექიმი. ლუციი იუნი მოდერატ კოლუმელამ (1 საუკუნე ახალი წელთაღრიცხვის), რომელიც ცნობილი იყო როგორც იმ დროის გამოჩენილი მწერალი და აგრანომიული განათლების მქონე პირი,

მის მიერ შექმნილი შრომების კრებულის „De re rutika libri” ერთ-ერთი ტომი მიუძღვნა ვეტერინარიას და კონკრეტული ვეტერინარული საქმის აღწერას.

ცხოველთა მოშინაურების პერიოდები

№	ცხოველის სახე	პირველად მოშინაურების დრო ძველი წელთაღრიცხვით, (ათასი წელი)	მოშინაურების ტერიტორიები
1.	ძაღლი	30-13	ევროპა, აზია (მთელი ტერიტორია)
2.	მსხვილი რქოსანი პირუტყვი	6-5	აზია (ბაბილონი) აფრიკა (ეგვიპტე)
3.	ცხვარი, თხა	5-4	აზია (ინდოეთი)
4.	ღორი	3	ევროპა (მთელი ტერიტორია) აზია (ჩინეთი)
5.	ცხენი	2	ევროპა (მთელი ტერიტორია) აზია (ბაბილონი)
6.	აქლემი	1	აზია (არაბეთის ნახევარკუნძული)
7.	ირემი (მარალი)	1	აზია (საიანო-ალტაის მთიანეთი)

საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე, ვეტერინარული საქმიანობის ამსახველი მოვლენების სრულყოფლად გადმოცემა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან უამრავი სამუშაოებია ამასთან დაკავშირებით ჩატარებული, რომელთაგან ბევრი ზეპირი სიტყვიერებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და დღეისათვის დავიწყებულია.

ტერმინი „ვეტერინარია“ (veterinarius) წერილობითი სახით პირველად გვხვდება რომაელი მწერლისა და აგრონომის კოლუმელას (Columella), პირველი საუკუნით დათარიღებულ, ზემოთაღნიშნულ ტრაქტატში, რომლის ქართული სახელწოდებაა „სოფლის მეურნეობის შესახებ“. ეს ტერმინი, როგორც ვარაუდობენ რომაელებს, გადმოტანილი აქვთ კელტური ენიდან; რომაელი ავტორები, რიგ შემთხვევაში სიტყვა „ვეტერინარი“ს ნაცვლად ხმარობდნენ ტერმინ „მულომედიცინა“-ს (mulomedicina,

mulomedicinus), რაც თარგმანში ჯორების ექიმ-ს ნიშნავს. ძველი რუსული ლიტერატურული წყაროების მიხედვით ნაჩვენებია, რომ ტერმინი „ვეტერინარია“ ამ სახელმწიფოში მეთვრამეტე საუკუნიდან აღმოცენდა.

მეცნიერების ეს დარგი, ადამიანის ცხოვრებისეული-საციცოცხლო მოთხოვნების საპასუხოდ უძველეს დროში ჩამოყალიბდა და გაიარა ცოდნის შეძენის, დაგროვების, მისი შემდგომი სრულყოფისა და პრაქტიკული რეალიზების რთული გზა. დღეს ის წარმოადგენს ბუნებისმეტყველების ერთიანი ორგანიზმის განუყოფელ ნაწილს, რომელიც თავის საქმიანობაში იყენებს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კვლევის მეთოდებს. ვეტერინარიის როგორც სამკურნალო ხელოვნების ჩანასახის გაჩენა ემთხვევა, ადამიანის მიერ ცხოველთა მოშინაურების პრიოდს. ვეტერინარიის საქმიანობა ბევრი საინტერესო და სასარგებლო უნარებისა და ჩვევების გამომუშავება-დანერგვასთან არის დაკავშირებული, რომელთა ჩამონათვალის გაკეთება მათი, მრავალსაუკუნოვან დროში განფენილი სიმრავლის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია.

ვეტერინარული საქმიანობის ხანგრძლივი პერიოდის გამოცდილების ანალიზი, გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის ის სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროს წარმოადგენდა და წარმოადგენს ამჟამადაც. ის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, სახალხო მეუენეობის უალტერნატივო დარგად გვევლინება. ბოლო უახლოეს წლებში საზოგადოების დაჩქარებულად განვითარების შედეგად წარმოქმნილი მოვლენების ფონზე ვეტერინარიამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა.

საქართველოში ამ დარგთან მიმართებაში შექმნილი რეალობა ასეთია: ქვეყანაში განხორციელდა ვეტერინარიის ე.წ. რეორგანიზაცია და სამწუხაროდ ეს მოხდა მისი ფუნქციური გაუკუღმართების მიმართულებით. ამ პროცესს მიეცა ცრუ ახსნა: თითქოს საჭირო იყო კაპიტალისტურ წყობაზე მოსარგები სტრუქტურის შექმნა, რაც პროფესიული თვალსაზრისით ყოველგვარ ჯანსაღ აზრს მოკლებულ და არასახელმწიფოებრივი ინტერესების შემცველ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. კაპიტალისტური სისტემის ჩამოყალიბება არ არის ერთი ან ორი წლის, თუგინდ ათწლეულის საქმე; ეს ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია. ამდენად, ქვეყანაში შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია - თითქოს ჩამოყალიბდა ახალ-კაპიტალისტურ სისტემაზე მოსარგები ვეტსამსახური, მაგრამ არა გვაქვს თვით ეს სისტემა, რომლის სრულად ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ. ამან გამოიწვია ვეტერინარ ექიმთა დიდი არმიის უფუნქციოდ დარჩენა და მათი განთესვა სამოქმედო არენიდან. ადგილებზე შეიქმნა სპეციალისტთა მწვავე დეფიციტი. სიტუაცია კიდევ უფრო რთული გახადა იმან, რომ პრაქტიკულად გაუქმდა უმაღლესი და საშუალო დონის ვეტსპეციალისტთა მოსამზადებელი მთელი საგანმანათლებლო სისტემა, მათ

საკუთრებაში არსებულ მდიდარ და მრავალსახეობრივ საცდელ-საწარმოო ბაზებთან ერთად. ყოველივე ამან შეუძლებელი გახადა ვეტერინართა კორპუსის შევსება-განახლება ახალგაზრდა, მაღალკვალიფიციური კადრებით და ეს პრობლემა დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს, რასაც დიდი ძალისხმევა და ალბათ მრავალი წელი დასჭირდება

სასაუბრო თემიდან გამომდინარე, ზემოთმონათხრობის ფონზე არ იქნება ინტერესმოკლებული გავიხსენოთ, ადრეულ პერიოდებში მოღვაწე ვეტერინარ-მეცნიერთა ღვაწლის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა არასასურველ მოვლენათა გამო დავიწყების ფარდის უკან აღმოჩნდნენ. აი, ზოგი მათგანი: ხ.გელმანი, რომელიც ითვლება პეტერბურგის ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტის დამაარსებლად; ი.კაიდანოვი და ლ.ბოიანუსი დარვინის წინამორბედი ევოლუციონერები, რომლებმაც შექმნეს შედარებით ანატომთა სკოლა; ვ.ვსევოლოდოვი- დიდი ფიზიოლოგის ი.პავლოვის წინამორბედი; გ.ტარტაკოვსკი, მან ინგლისელ მეცნიერ ა. ფლემინგზე, 25 წლით ადრე (1879წ.) აღმოაჩინა და შეისწავლა, ზოგიერთი სახის მიკრობებზე სოკო პენიცილიუმის ანტიმიკრობული ზემოქმედების შედეგები; განა ბევრმა იცის, ვეტექიმ მ.ნოვიცკის შესახებ რომელმაც პირველმა დაადგინა სიმსივნური წარმონაქმნის ქსოვილის გადანერგვის შესაძლებლობა. ის აღიარებულია ექსპერიმენტალური ონკოლოგიის როგორც მეცნიერების ფუძემდებლად. არ შეიძლება დავიწყებული იქნეს ზოოტექნიკური მეცნიერების განვითარებაში ვეტერინარ სპეციალისტთა როლის შესახებაც. საკმარისია ითქვას რომ აკადემიკოსი მ.ივანოვი, პროფესორი პ.კულეშოვი და ზოოტექნიკური სფეროს მრავალი სხვა, გამოჩენილი მეცნიერები ვეტერინარი ექიმები იყვნენ. პირველი სრულყოფილი და მაღალღირებული ზოოტექნიკური სახელმძღვანელოები ვეტერინარების მიერ არის დაწერილი. ესენია- ვ.ვსევოლოდოვის „მეძროხეობა“, ე.შმულევიჩის „ცხოველთა კვება“. ი.პოპოვის „კერძო ზოოტექნია“ და სხვა. ცნობილია ვეტერინართა მიერ მრავალი აღმოჩენის შესახებ სამედიცინო პარაზიტოლოგიის, ეპიზოოტოლოგიის, მიკრობიოლოგიის სფეროში რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ადამიანთა რიგი დაავადებების თავიდან ასარიდებელი (პროფილაქტიკური) კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებას.

ქვეყანაში ვეტერინარული საქმიანობის ამჟამინდელი მდგომარეობის გაცნობისა და წინაისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, და მომავალში მისი ეფექტიანობის ამაღლების მისაღწევად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ საჭიროა ამ დარგის რეანიმაცია. ამის გატარების აუცილებლობას გვკარნახობს, სხვადასხვა დაავადებების მიმართ შექმნილი, უკიდურესად გართულებული ეპიზოოტიური სიტუაციები. ამ უკანასკნელთაგან ყვალაზე მწვავე პრობლემად ისახება

განსაკუთრებით საშიში ინფექციები (ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ჯილეხი, ღორის აფრიკული ცხელება და სხვა), ასევე ალიმენტარული ტოქსიკო-ინფექციები.

ეპიზოოტიური სიტუაციების გამწვავებისა და აქედან გამომდინარე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების რისკის ზრდის ხელშემწყობ ფაქტორებად უნდა ჩაითვალოს:

1. ქვეყნის ვეტერინარული სამსახურის ქმედითუნარიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული ამ სისტემის დემონტაჟი და აქედან გამომდინარე, ვეტერინარ სპეციალისტთა უმრავლესობის იძულებითი განთესვა მათი სამოქმედო არენიდან.
2. ვეტერინარიის დეპარტამენტის საქმიანობაში, მისი უწყებრივი დაქვემდებარების გამო გამოწვეული თავისუფალი და რადიკალური მოქმედების შეზღუდულობა და მწირი ბიუჯეტი
3. ვეტერინარ ექიმთა მოსამზადებელი უმაღლესი სკოლის, და მასთან არსებულ სასწავლო და საწარმოო ბაზების გაუქმება, რამეთუ ამ უკანასკნელის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე მოთხოვნათა სტანდარტების შესატყვისი სპეციალისტების მომზადება.
4. სამეცნიერო სფეროს ვეტერინარულ დაწესებულებათა შეუქცევადი ლიკვიდაცია.
5. სოფლად არსებული, აპრობირებული და თავის დროზე წარმატებით მოქმედი ვეტერინარულ-სანიტარული დაწესებულებების გაუქმება (რაიონული მასშტაბით მოქმედი ვეტერინარული სამკურნალოები; რაიონული და სარაიონთაშორისო ვეტერინარული ლაბორატორიები; სოფლების ვეტერინარული უბნები; საზღვრისპირა ზონებში მოქმედი ვეტსაკონტროლო-გამშვები პუნქტები; სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე მომუშავე ვეტერინარული სამსახურები; აგრარულ ბაზრებში მოქმედი ვეტსაკონტროლო ლაბორატორიები და სხვა.
6. აუცილებელია ითქვას იმ გარემოების შესახებაც, რაც დაკავშირებულია ეგრეთ წოდებული საზღვარგარეთელი (უცხოელი) ექსპერტ-სპეციალისტების გახშირებულ მოდინებასთან. მართალია ეს ხდება ჩვენი ქვეყნის მოწვევით, მაგრამ მათ მიერ გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები ზოგჯერ არ გამომდინარეობენ საქართველოში არსებული ობიექტური რეალობიდან, რაც უსარგებლოს, ხშირად საზიანოსაც კი ხდის მათ.
7. საქმისათვის საზიანოდ შეიძლება ჩაითვალოს, მდიდარი გამოცდილების მქონე ვეტერინარ სპეციალისტთა ცოდნისა და მათ მიერ გაკეთებული ღირებული რეკომენდაციების იგნორირება, მიუხედავად იმისა რომ ეს როგორც წესი, ყოველთვის ადგილებზე არსებული რეალობის გათვალისწინებით მისი ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე კეთდებოდა და კეთდება.

დღევანდელ პირობებში ვეტერინარი ექიმის მუშაობა გართულებულია. ამ პროფესიის ადამიანთა საქმიანობა არასდროს არ თავსდებოდა და არც ახლა თავსდება

ჩვეულებრივად, ქვეყანაში დადგენილი სამუშაო დროის ფარგლებში, რადგან დაავადება შეიძლება გაჩნდეს დღის ნებისმიერ დროს. აქედან გამომდინარე ცხადია ვეტექიმის დასვენების დღესა და საათს განსაზღვრავს, არა ქვეყანაში მიღებული და იურიდიულად დაკანონებული გამოსასვლელი დღეები, არამედ დაავადების გამომწვევი ხშირად თვალით უხილავი, იმ ცოცხალი არსებების პათოგენური ზემოქმედების შედეგები, რომლებიც მუდმივად ჩასაფრებული არიან მათი ზემოქმედების სამიზნის ცხოველის წინააღმდეგ.

ყოველგვარი აზროვნება, სამედიცინო თუ სავეტერინარო აღმოცენდება და ხორციელდება, პირობითად სხვადასხვა საფეხურებრივი მანიპულაციების გზით: ანალიზი, შედარება, აბსტრაქცია, კონკრეტიზება, დასკვნა, განზოგადება და ა.შ. ყოველივე ეს უნდა ჩამოყალიბდეს სტუდენტობის პირველ ეტაპზე და შემდგომი ფორმირება ჰპოვოს და დაიხვეწოს კლინიკურ კათედრებზე სწავლებისას. ასეთად ჩამოყალიბებული სწავლების წესი უნდა დამთავრდეს უმაღლესი სასწავლებლის დასრულებისწინა პერიოდში, სტუდენტთა ე.წ. საწარმოო პრაქტიკის გავლით სპეციალურად შექმნილ მეცხოველეობის მეურნეობების ბაზებზე. სწორედ აქ უნდა ჩამოყალიბდეს ვეტექიმის, როგორც სპეციალისტის სრული სახე, დიდ არენაზე სამოქმედოდ გასვლის წინ.

ვეტექიმისათვის ძალზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების სწრაფად მიღება და მისი სისრულეში მოყვანა. ეს თვისება არ უნდა შეიცვალოს უადგილო და მოუფიქრებელი გამბედაობით. რთული სიტუაციის დროს ის კრიტიკულად უნდა მიუდგეს საკუთარ აზროვნებას და მოქმედების დაწყებას. ის დაჯერებული უნდა იყოს თავისი მოქმედების სისწორეში, მაგრამ უნდა გამოირიცხოს თვითდაჯერება, როცა ადამიანი გადამეტებულად აფასებს თავის ძალებს, ცოდნას, გამოცდილებას და ვეღარ ხედავს სიძნელეებს რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სამკურნალო ქმედებების როცესში. ასეთ შემთხვევაში ხშირია შეცდომები, სამწუხაროდ ფატალურიც კი. დამაჯერებლობასთან ერთად ვეტერინარს უნდა ახასიათებდეს ეჭვიანობის გრძნობაც, რაც მას უსათუოდ დაეხმარება დიაგნოზის დაზუსტებაში, ახალი, უფრო ოპტიმალური ქმდების მიღებაში. ზოგჯერ ვეტექიმს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება და შესრულება. ეს ხდება მაშინ როცა სპეციალისტის მომავალი ქმედება დაკავშირებულია სავარაუდო რისკთან და ხიფათთანაც კი. ამ დროს თავს იჩენს შიშის გრძნობა, ამიტომაც საჭიროა სიმშვიდის შენარჩუნება და აზროვნების მაქსიმალურად მობილიზება, რისი მიღწევაც შეუძლია მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭით აღჭურვილ ვეტექიმს.

ვეტერინარი ექიმი უპირველესად ინტელიგენციის წარმომადგენელია და მისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ კარგი სპეციალისტი იყვეს. ის არ უნდა ჩაიკეტოს საკუთარი სპეციალობის ჩარჩოებში, სასურველია მას თანაბრად აინტერესებდეს მხატვრული

ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეები, თვალყურს უნდა ადევნებდეს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც. ვეტექიმს ალამაზებს მის სპეციალობასთან და არა მარტო მასთან დაკავშირებული თავმდაბლობა, რომლის დროსაც პირველ პლანზეა წამოწეული თავისი პროფესიული საქმიანობა.

ადამიანი რომელიც ეზიარება ვეტექიმის სპეციალობას და სამოქმედოდ გამოდის ამ სამსახურის ღია არენაზე, უნდა იყოს კეთილი, სათნო და განსაკუთრებით ცხოველები უყვარდეს. სწორედ ასეთი ადამიანებისაგან შეიძლება ჩამოყალიბდეს მეცნიერული მიღწევებით გონებაგაჯერებული ჭეშმარიტი ვეტერინარი ექიმის პიროვნება. მხოლოდ დიპლომის მიღებით არ მთავრდება ვეტერინარი ექიმის ფორმირება, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ. ეს პროცესი, თვითაღზრდის გზით მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება. ვეტერინარი ექიმის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას ხელს უწყობს საკუთარი ცოდნის დონის მუდმივი ამაღლება და სრულყოფა; დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის უახლესი მეთოდების ათვისება, რაც საბოლოო ჯამში ვეტერინარს, მის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში ეხმარება.

„ ...თუ ჩვენ ვიქნებით, საკუთარი თავის მიმართ მკაცრად მომთხოვნელები მაშინ არა მარტო წარმატება, არამედ შეცდომებიც შეიძლება გახდეს ცოდნის წყარო.. „ ჰიპოკრატე.

ბერძენი მეცნიერის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული დატვირთვის თვალსაზრისით.

მეცნიერული განვითარების დღევანდელ ეტაპზე ექიმს ეძლევა, როგორც საკანონმდებლო-ნორმატიული ასევე ზნეობრივი უფლება მის ხელთ არსებული საშუალებებისა და შესაძლებლობების გამოყენებით აქტიურად ჩაერიოს პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობაში, აკონტროლოს და თავის სასარგებლოდ წარმართოს ის. ამდენად სამკურნალო ცნების მრავალი საუკუნეების პერიოდში ჩამოყალიბებული (მოძველებული) პრინციპი „არ ავნო“, საჭიროა შეცვალოს ახლით და და ქმედებები წარიმართოს თანამედროვე ფორმულირების შესაბამისად - „აქტიურად ჩაერიე“. დაჩქარებული, ნახტომისებურად მიმდინარე, თანამედროვე ეპოქისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს სპეციალიზაციის ფართომასშტაბიან განვითარებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მათ შორის ვეტერინარულ პრაქტიკაში. დღევანდელობის მოთხოვნამ შექმნა ახალი, ვიწრო პროფესიის სპეციალობები: ექიმ-ეპიზოოტოლოგი, თერაპევტი, ტოქსიკოლოგი, ქირურგი, მეან-გინეკოლოგი, ვეტპარაზიტოლოგი, ვეტჰელმინთოლოგი, ვეტმიკოლოგი, ვეტარახნოლოგი, ვეტიმუნოლოგი და სხვა. ამასთან, სპეციალიზაციის პროცესი აისახება გარკვეული სახის ინტეგრაციითაც, ანუ დაავადებაბის საწინააღმდეგო ბრძოლაში ირწყმება თერაპიული და ქირურგიული მეთოდები, სპეციფიკური პროფილაქტიკისა და დიაგნოსტიკის

სხვადასხვა საშუალებანი. ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, ინჟინრები ექიმებთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების თანამედროვე მეთოდებს, ქმნიან გაუმჯობესებულ სამკურნალო პრეპერეტებს, ეძიებენ ცხოველთა ორგანიზმზე ეფექტურად ზემოქმედების ახალ, უსაფრთხო საშუალებებს.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ცხადია, ჩვენმა ეპოქამ ვეტერინარი სპეციალისტის წინაშე დააყენა ახალი, რთული ამოცანები რომელთა წარმატებით გადაწყვეტა მათგან მოითხოვს ცოდნის დონის მუდმივ ამაღლებასა და პიროვნებისათვის დამახასიათებელი მოქალაქეობრივი ზნეობისა და დახვეწილი ინტელექტუალური თვისებების ჩამოყალიბებას. ვეტერინარიის როგორც მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგისა და ამ დარგის მომსახურე სპეციალისტის ვეტერინარი ექიმის პროფესიის წარმოშობა-ჩამოყალიბება, და დროის მიმდინარეობის შესაბამისად თვისობრივი განვითარება ადამიანთა საზოგადოებისათვის ჭკუის მასწავლებელი იყო, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ყველა ეტაპზე.

ვეტერინარული სამსახურის ავტორიტეტი და საქმიანობის ეფექტიანობა იზრდება, როცა ის პირდაპირ-უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება ქვეყნის უმაღლეს, სამთავრობო ხელისუფლებასთან და წარმოადგენს სახელმწიფო სტატუსის მქონე ცალკე იურიდიულ ერთეულს. ამიტომ მართებული იქნება, ამჟამად სურსათის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი ეს სამსახური გარდაიქმნას ვეტერინარიის დამოუკიდებელ სახელმწიფო დეპარტამენტად და, მკაცრად რეგლამენტირებული ვეტკანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებდეს.

2. ცხოველთა წამლისა და მათი წამლობის შესახებ

ცხოველთა მოშენებისა და მათი მოვლა-შენახვით დასაქმებული ადამიანები, თავდაპირველად, სხვადასხვა სნეულებების დროს თვითონვე აღმოუჩენდნენ მათ სამკურნალო დახმარებას; შემდეგ კი დროულად და სრულად ასრულებდნენ ვეტერინარის დანიშნულებას, მათ რჩევა-დარიგებებს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამკურნალწამლო საშუალებების დანიშნულების მიხედვით ზუსტად გამოყენებას.

მრავალსაუკუნოვანი საექიმო პრაქტიკით დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ პრეპერატების არასწორად და უპასუხისმგებლოდ გამოყენებას სარგებლობის ნაცვლად დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ექიმი, როცა მკურნალობის კურსს ნიშნავს ზუსტად მიუთითებს წამლის საჭირო რაოდენობას, მისი გამოყენების მოცულობასა და ჯერადობას, ანუ ადგენს პრეპარატის დოზას. ის შეიძლება იყვეს ერთჯერადი, დღეღამური ანდა მკურნალობის მთელ პერიოდზე გათვლილი.

სამკურნალწამლო ნივთიერებათა დოზები შეიძლება იყვეს ავადმყოფი ცხოველის ჯანმრთელობის გამაუმჯობესებელი-სამკურნალო თერაპიული; მომწამლავი-ტოქსიკური და მომაკვდინებელი-ლეტალური. ცხოველისათვის მკურნალობის ზუსტი დანიშნულების განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგან გასათვალისწინებელია პირუტყვის სახე, ასაკი, ორგანიზმის ბუნებრივი რეზისტენტობის მდგომარეობა, სამეურნეო-გამოყენებითი დატვირთვა და მრავალი სხვა. ცხოველთა სამკურნალო პრაქტიკაში, დოზის საშუალო ერთეულად, პირობითად მიღებულია მოცემული წამლის, ცხენისათვის (500კგ.) განმაკურნებელი რაოდენობა. ამის გათვალისწინებით მრპ-თვის (400კგ.) იგივე ნივთიერების სამკურნალო დოზა იქნება 1,5 ჯერ მეტი; ვირებისათვის (150-200კგ.) კი ცხენის დოზის 1/3-1,2 ნაწილი; წვრილი ცხოველებისათვის: ცხვარი (50-60კგ.) 1/5-1/6 ნაწილი; ღორისთვის (50-60კგ) 1/5-1/8 ნაწილი; ძაღლისათვის (10კგ.) 1/10-1/16 ნაწილი; კატისათვის (2კგ) 1/20-1/32 ნაწილი და ქათმისათვის (2კგ) ცხენის დოზის 1/20-1/40 ნაწილი. სამკურნალო საშუალებების შესატყვისი დოზების დადგენისას, ამასთან აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ცხოველის ასაკი, მისი ზოგადი მდგომსრეობა, სქესი, ცოცხალი მასა, გამოკვებულობა და სხვა ფაქტორები. მაგალითად დადგენილია რომ მდედრობითი სქესის, ან პირველი ასაკის, ასევე ბებერი და ჯანდაგი ცხოველები აწეულ მგრძნობელობას იჩენენ სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედების მიმართ. ამიტომ საჭიროა მათ მიეცეთ შემცირებული დოზები.

სამკურნალო ნივთიერებების გამოყენებისას უმთავრესად გასათვალისწინებელია, პრეპერატის შეყვანის მეთოდი, ანუ რა გზით უნდა მოხვდეს ის ორგანიზმში. წამლის შეყვანის ერთეულად თუ მივიღებთ პრეპარატის per-os მოხვედრილ რაოდენობას, მაშინ, საორიენტაციოდ რექტალური მეთოდის გამოყენებისას დოზა უნდა გაიზარდოს 1,5-2,0 ჯერ; კანქვეშ და კუნთებში შეყვანისას დოზა მცირდება 1,2-1,5 ჯერ, კუნთებსა და კანში შეყვანისას კი 1,2-1,3 ჯერ; ვენასა და ტრაქეაში შეყვანილი უნდა იქნეს per-os დანიშნული დოზის 1,4 ნაწილი.

3. ანტიმიკრობული საშუალებები

ადამიანის ცხოვრების ბიოლოგიურ და სოციალურ სივრცეში არსებული ფლორა და ფაუნა, ასევე ცხოველთა და მცენარეთა თითოეული ინდივიდი კოლოსალური, პრაქტიკულად უთვალავი რაოდენობის მიკრობული ორგანიზმებითაა გარემოცული. მიკროორგანიზმებით უხვადაა მოფენილი ცხოველის კანის საფარველი და მათი სხეულის ბუნებრივ ღრუთა კედლების ლორწოვანი გარსები. ესენია პირის, ცხვირის თვალის, საშოს, ჩუჩის და ანუსის ღრუთა სისტემა, ასევე კუჭნაწლავის ტრაქტი. ამ მიკრობთა უმრავლესობა პატრონი ცხოველის თუ ადამიანის ორგანიზმში სიმბიოზურ თანაცხოვრებაში იმყოფება, ანუ მათი არსებობა ფუნქციონალურადაა დაკაშირებული

ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებთან. ამასთან არის მიკრობთა განსაკუთრებული კატეგორია, რომლებიც საზიანოა ცხოველთა ჯანსაღად ზრდა-განვითარებისათვის. ესენი არიან მიკრობთა ე.წ. პათოგენური თვისებების მატარებელი ინდივიდები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ცხოველის ორგანიზმის საციცოცხლო ფუნქციების აშლილობა, დაავადების ჩამოყალიბებით. მათ წინააღმდეგ, ანუ გასანადგურებლად, ადამიანი ოდითგანვე აქტიურ ქმედებებს მიმართავდა, მიკრობსაწინააღმდეგო სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. ასეთი ნივთიერებები გამოიყენება, როგორც ცხოველის ყოფის გარემომცველ სივრცეში არსებული მიკროორგანიზმების, ასევე თვით მათ ორგანიზმში განთესილი დამაავადებელი მიკრობული უჯრედების მოსასპობად. ამათგან, პირველ შემთხვევაში გამოსაყენებელი პრეპარატები იწოდება როგორც სადეზინფექციო (გამაუვნებლები) საშუალებები. ცხოველის ორგანიზმში ჩანერგილი ან მის სხეულზე მოთესილი, დაავადების გამომწვევი მიკრობების საწინააღმდეგოდ გამოყენებული ნივთიერებები იწოდებიან ანტისეპტიკებად. გამოკვეთილი,მკაცრი საზღვარი ამ ორი სახის ნივთიერებებს შორის არ არსებობს, ვინაიდან ზოგი მათგანი, გარკვეულ პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სადეზინფექციო ასევე ანტისეპტიკური დანიშნულებით (მაგალითად ფენოლი, კარბოლის მჟავა, კრეოლინი, ლიზოლი, ფორმალინი და სხვა)

ანტიმიკრობული ნივთიერებების მოქმედების მექანიზმის გამოვლინების ორი ძირითადი სახე არის ცნობილი: 1. ბაქტერიოციდული, 2. ბაქტერიოსტატიკური. პირველ შემთხვევაში ხდება მიკრობების დაღუპვა-განადგურება, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ ფერხდება მიკრობის ზრდა-განვითარება, გამრავლება და სუსტდება ტოქსინების გამომუშავების ინტენსიობა. ამ ბოლო შმთხვევაში დადებით როლს თამაშობს ცხოველის ორგანიზმის ბუნებრივი რეზისტენტობის მდგომარეობა

4. ანტიჰელმინთოზური საშუალებები

ანტიჰელმინთოზური პრეპერატები გამოიყენება ისეთი სნეულებების საწინააღმდეგოდ რომელთა გამომწვევია ადამიანის ცხოველებისა და მცენარეების დამაავადებელი პარაზიტული ჭიები. მარტო სასოფლო სამეურნეო ცხოველებზე პარაზიტობენ ათასამდე სახეობის ჰელმინთები (ასკარიდები, ტრიქინელები, ფასციოლები, მონიეზიები და სხვა). პარაზიტული ჭიების ოთხი ძირითადი ტიპი არის ცნობილი ესენია: მრგვალები (ნემატოდები), ლენტისებრნი (ცესტოდები), მწოველები (ტრემატოდები) და მჩხვლეტავთავიანები (აკანტოცეფალები). ისინი ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილში ბუდობენ. ცხოველთა ჰელმინთოზების რიგი წარმომადგენლები საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვისაც. ამიტომაცაა, რომ ადამიანი უხსოვარი დროიდან ეძიებდა და იყენებდა, ამ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის, როცა არ იყო სრულყოფილად შესწავლილი ჰელმინთების განვითარების საციცოცხლო ციკლი, მკურნალობის ერთადერთი უტყუარ მეთოდად ითვლებოდა პარაზიტების გამოდევნა დაინვაზირებული ორგანიზმიდან. შემდგომმა დაკვირვებებმა აჩვენეს, რომ ასეთი მეთოდით მკურნალობა ხშირად ხელს უწყობდა დაავადების არა შეწყვეტას, არამედ პირიქითაც კი-მის გავრცელებას, ანუ დაავადების საწყისის (კვერცხების, ლავრების) განთესვას.

ჰელმინთების ბიოლოგიის სრულყოფილად შესწავლით დადგენილია, რომ ისინი ვითარდებიან ორი- პირდაპირი და არეპირდაპირი გზით. პირდაპირი გზის დროს კვერცხები ან ლავრები ვითარდებიან ცხოველისა თუ ადამიანის დარემომცველ არეში. არაპირდაპირი განვითარებისას აუცილებელია შუალედი პატრონი, ანუ კვერცხი თავის შემდგომ განვითარედას აგრძელებს ერთ ან რამოდენიმე, „დამატებითი“ ცხოველის ორგანიზმში. ეს უკანასკვნელი ძალიან ართულებს ჰელმინთოზებთან ბრძოლას და ნაკლებეფექტურს ხდის მას. აკადემიკოს კ.სკრიაბინის მიერ შემუშავებულია ე.წ. დევასტაციის თეორია, რომელიც გულისხმობს ჰელმინთოზების აღმძვრელის სრულ განადგურებას, მისი განვითარების ყველა სტადიაზე. და ეს ხდება ყველა ხელმისაწვდომი ხერხებით, რაც ძირითადად სამ მომენტს ითვალისწინებს მექანიკურს, ქიმიურსა და ბიოლოგიურს. მის მიერვეა შემოთავაზებული გაგმიური დეჰელმინთიზაციის ჩატარება, რომელიც აუცილებელია განხორციელდეს დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკის კურსთან თანაშერწყმით. ამჟამად შემუშავებულია დეჰელმინთიზაციის რამოდენიმე სახე, რომელიც წარმატებით არის დანერგილი პრაქტიკაში.

თითოეული ჰელმინთოზის შემთხვევაში შემუშავებულია პროფილაქტიკისა და სამკურნალო დეჰელმინთიზაციის განსაზღვრული ვადები. კონკრეტული პათოლოგიის დროს დიაგნოზის დასმა და დანიშნული მკურნალობის რეალიზება მხოლოდ ვეტერინარმა ექიმმა უნდა აწარმოოს.

5. ვიტამინები

მეცნიერები, მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე მყარად იყვნენ დარწმუნებული, რომ ცხოველთა ორგანიზმის ნორმალური ცხოველმყოფელობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად საკმარისი იყო, თუკი საკვები შეიცავდა ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს და მინერალურ ნივთიერებებს. ეს აზრი მცდარი იყო, რაზეც მიანიშნებდა ის რომ მრავალი დაავადების მიმართ მეცნიერებს არ შეეძლოთ ახსნა-განმარტებების გაკეთება. ამისი მიზეზების ახსნის გასაღები, თვით ცხოველთა საკვების არსში იდო. ეს პირველად (1880წ.) დაადგინა მედიცინის მეცნიერებათა

დოქტორმა ნ.ლუნინმა, რომელმაც შენიშნა, რომ თუ საცდელი ცხოველები იკვებებოდნენ ისეთი ულუფით რომელიც შეიცავდა, სუფთა სახით მხოლოდ ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებსა და მინერალურ ნივთიერებებს ასეთი ცხოველები როგორც წესი კვდებოდნენ. ეს მიანიშნებდა იმაზე, რომ ცხოველებისათვის გამოყენებული ჩვეულებრივი საკვები, სინამდვილეში შეიცავდა ისეთ ნივთიერებებს რომლებიც შეუცვლელი უნდა ყოფილიყო მათი სრულფასოვანი გამოკვების მისაღწევად.

სწორი კვებისათვის, ეს უალტერნატივო ნივთიერებები შემდგომში სახელდებულ იქნა ვიტამინებად (ლათ. vita-სიცოცხლე და ბერძნ. Amini-აზოტის შემცველი განსაკუთრებული ორგანული ნივთიერებები). ვიტამინებს მოიხსენებენ შემდეგი განმარტებითაც „სიცოცხლისათვის აუცილებელი ამინები“, ეს იმიტომ, რომ თავდაპირველად შესწავლილი ვიტამინები თავისთავში შეიცავდნენ ამინებს. შემდგომში ჩატარებული სერიული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ არც თუ ყველა ვიტამინი შეიცავდა ამინებსა და არც ცალკე აზოტს. მიუხედევად ამისა სიტყვა „ვიტამინი“ მყარად დამკვიდდრდა სამეცნიერო და პრაქტიკულ ტერმინოლოგიაში.

ცხოველის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური-საციცოცხლო პროცესების მოწესრიგებასა და დაჩქარებაში ვიტამინები გადამწყვეტ როლს თამაშობენ. რომელიმე კონკრეტული ვიტამინის ორგანიზმში არარსებობა მიზეზი ხდება, სპეციფიკური-დამახასიათებელი დაავადების წარმოშობისა, რომელიც ავიტამინოზის სახელით არის ცნობილი. ცხოველთა საკვების შემადგენლობაში, საჭირო ვიტამინის ნაკლებობა, პირდაპირ განმსაზღვრელია ორგანიზმში ამ ნივთიერების დაფიციტისა, რასაც შედეგად მოსდევს, ნაკლებგამოკვეთილი მაგრამ სერიოზული პათოლოგიის აღმოცენება-ჰიპოვიტამინოზი. საკვებში, ერთდროულად რამოდენიმე ვიტამინური ნივთიერების უქონლობას მოსდევს პოლიავიტამინოზის ჩამოყალიბება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცხოველის ჯანმრთელობას და შეიძლება დაუძლურებისა და მისი სიკვდილის მიზეზიც გახდეს.

ვიტამინები, როგორც დადგენილია საციცოცხლოდ აუცილებელია ბალახებისა და ხეებისათვის. აღმოჩნდა რომ ვიტამინები მრავალი ფერმენტის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს. ფერმენტების გარეშე, ცოცხალ ორგანიზმში შეუძლებელია რთული, ბიოქიმიური-გარდამქმნელი პროცესების წარმართვა. მცენარეულ უჯრედებში თუ არ არის გარკვეული ვიტამინების ერთობლიობა, ასეთი მცენარე ჭკნება და იღუპება, რადგან ვერ ითვისებს მინერალურ ნივთიერებებს. ანუ, რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მცენარეებსაც ჭირდებათ ვიტამინებით „მკურნალობა“. , თუ აკადემიკოს ი.პავლოვის სიტყვებს მოვიშველიებთ ფერმენტები არიან სიცოცხლის აღმძვრელები („Ферменты есть в полном смысле возбудители жизни“). ვიტამინები უმთავრესწილად გამომუშავდებიან არა ცხოველურ ორგანიზმებში არამედ მცენარეებში. ვიტამინების

გამოყენება ხდება არა მხოლოდ ავიტამინოზების თავიდან აცილებისა და ასევე მკურნალობისათვის. მათი გამოყენება ზრდის ორგანიზმის ზოგად რეზისტენტობას, რაც ხელს უწყობს არაავიტამინოზური დაავადებების მკურნალობის ეფექტიანობის ამაღლებასაც.

ორგანიზმში, ვიტამინების ნაკლებობით ან უქონლობით გამოწვეული პათოლოგიების თავიდან აცილება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე შემდგომში მათი მკურნალობა. ამიტომაცაა რომ მეცხოველეობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პირუტყვის ისეთი საკვებით უზრუნველყოფას, რომლებიც შეიცავენ, მათი ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ვიტამინებს. ცხოველთა ავიტამინოზური დაავადებების განვითარების დროულად შეჩერება რომ შევძლოთ აუცილებელია მათი ადრეულად და ზუსტად გამოცნობა. ამაში დაგვეხმარება მათთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების ცოდნა. ეს ცალკე სასაუბრო თემაა.

6. ფუტკრის ცხოველმყოფელობის პროდუქტები

ინგლისელი მწერალი დოქტორი დ.მორი, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში წერდა რომ ფუტკარი ყველა დაავადებების განკურნების საშუალებას იძლევა და, რომ ის (ფუტკარი) ადამიანის ყველაზე ერთგული და საუკეთესო მეგობარია. მართალია თანამედროვე მიდგომით, მეფუტკრეობის პროდუქტების უნივერსალურ სამკურნალო საშუალებებად აღიარება არ არის გამართლებული, თუმცა თავის დროზე ხსენებული მეცნიერი ბევრ რამეში მართალი იყო.

ფუტკრები განსაცვიფრებლად საინტერესო მწერებია, და შემთხვევითი არ არის რომ მათ ხშირად „ფრთიან ფარმაცევტებადაც“ („ფუტკარი, როგორც აფთიაქარი ...“), ანუ წამლების დამამზადებელ დიდოსტატებად მოიხსენიებენ. ამ, განსაკუთრებულად შრომისმოყვარე და „ბრძენი“ მწერების ცხოველმყოფელობის თითქმის ყველა პროდუქტს (თაფლი, ფუტკრის შხამი, დედის რძე (Маточное молочко) დინდგელი, ცვილი, ჭეო), ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა და ახლაც იყენებს მრავალი დაავადების სამკურნალოდ, როგორც ვეტერინარიაში ასევე სამედიცინი პრაქტიკაში.

ცნობილია, რომ დიდი მკურნალი და მოაზროვნე ჰიპოკრატე, რომელიც დაახლოებით 2500 წლის წინათ ცხოვრობდა, ოცნებობდა ისეთი სამკურნალწამლო პრეპარატების არსებობაზე რომელთაც ექნებოდათ კვებითი ღირებულებებიც. ზუსტად ასეთი თვისებების მატარებელია ფურტკრის თაფლი, რომელიც შედგება 70-ზე მეტი სახის ნივთიერებებისაგან, და აუცილებელია როგორც ადამიანის ასევე ცხოველის ორგანიზმისათვის. ფუტკრის პროდუქტების ღირებულებებზე საუბარი თითქმის ამოუწურავია. მოდით, მოკლედ ვთქვათ რამოდენიმე მათგანზე.

ფუტკრის შხამი (Пчелиный яд), ანუ აპიტოქსინი (ლათ. „აპის“-ფუტკარი და ბერძ. „ტოქსიკონ’-შხამი) ძლიერ მოქმედი საქამვკლავია. თავისი ბუნებით ის ემსგავსება გველის შხამს (კობრა, გიურზა, გველგესლა-ასაპიტი“). ამის გავითვილისწინებთ არ არის გასაკვირი, რომ შედარებით მრავალრიცხოვანი ფუტკრის დანესტრვით (კბენა) ხშირია ფრინველის თუ ცხოველის დაცემა (სიკვდილი). დადგენილია ისიც რომ ზღარბი საერთოდ არ რეაგირებს ფუტკრის შახმის მიმართ, ამიტომ შესაძლებლად არის მიჩნეული მისი სისხლის შრატის გამოყენება, ინტენსიური დანესტვრისას როგორც შხამსაწინააღმდეგო პრეპერატი (ანტიდოტუმი). ჯანმრთელ ადამიანს 200-300 ფუტკრის მიერ დანესტრვისას უნვითარდება ორგანიზმის ძლიერი მოწამვლა (ტოქსიკოზი), ხოლო 500 და მეტი დანესტრვის შემთხვევაში სიკვდილი. ამდენად დიდი რაოდენობით შხამის მიღება საზიანოა ორგანიზმისათვის. ამასთან დაბალი დოზები მკურნალობის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სხვადასხვა პათოლოგიების დროს. ფუტკრის შხამის სამკურნალო, ან მომწამვლელ თვისებას განაპირობებს მისი ქიმიური შედგენილობა. ცნობილია რომ ივან გროზნის ნიკრისით დაავადების დროს ექიმები ეფექტიან მკურნალობას ფუტკრის მრავალჯერადი დანესტრვით ახდენდნენ. ამასთან შხამს გააჩნია დაცვითი,ანუ პროფილაქტიკური თვისებებიც. პროფესიონალი მეფუტკრეები ხშირი და ხანგრძლივი პწერიოდის განმავლობაში დანესტრვის გამო, როგორც წესი რევმატიზმით არ ავადდებიან. ვეტერინარულ პრაქტიკაში ფუტკრის შხამის გამოყენების შესაძლებლობა არ არის დამუშავებული და შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

„დედის რძე“ (Маточное молочко), თაფლისმომცემი ფუტკრის ერთ-ერთ ყველაზე საოცარი პროდუქტია. ეს არის სპეციალური „საკვები“ რომლითაც მომავალი დედაფუტკრის ჭუპრის, ანუ „მატლის“ გამოკვება-გამოზრდა ხდება ფუტკრის ოჯახში. დედის რძეს აქვს განსაკუთრებულად გამორჩეული თვისებები, რომლის შემცვლელი ბუნებაში არ არსებობს და ეს განპირობებულია მისი შემადგენელობის დიდი მრავალფეროვნებით. ის შეიცავს ვიტამინების მდიდარ ნაკრებს, 18%-მდე ცილოვან ნაერთებს, 17% შაქარს, 5,5% ცხიმებს და მრავალ მინერალებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მასში ჰონადოტროპული (სასქესო) ჰორმონების არსებობა. დედის რძეს აქვს ზოგადი, ძლიერ მატონიზირებელი მოქმედების უნარი და იწვევს სქესობრივი მოქმედების ძლიერ სტიმულაციას. მეცნიერები მას ხშირად სუპერპროდუქტად ასევე სასწაულმოქმედ წამლადაც კი მოიხსენიებენ.

ჭეო (Pepra), მას ხშირად „ფუტკრის პურსაც“ უწოდებენ. ეს „პური“ „ცხვება’ თაფლისა და ყვავილოვანი მტვერის რეაქციული ურთიერთობის რთულ ფერმენტაციულ პროცესში. მეცნიერულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ჭეო-ს უქონლობისას ფუტკარი ცვილს ვერ გამოიმუშავებს. ამდენად, ფუტკრისათვის ჭეო არის აუცილებელი ცილოვან-ვიტამინური საკვები. მის შემადგენლობაში შედის

ვიტამინები: A, B1, B2, B6, C; აგრეთვე კრემნიუმი, გოგირდი, ფოსფორი, ბარიუმი, ცინკი, ქრომი და მრავალი სხვა ცალკეული ქიმიური ელემენტები თუ ნაერთები. ჭეოს ექსტრაქტი ძლიერი ბაქტერიციდული თვისებების მატარებელია, ამიტომ მას მალამოს სახით იყენებენ ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ. ჭეოს ხმარება ვეტერინარიაში შეზღუდულია. ცხოველებში ის წარმატებით გამოიყენება მხოლოდ ჭრილობების სამკურნალოდ.

7. ანტიბიოტიკები

მეცნიერების მიერ გასულ საუკუნეშივე იყო დაფიქსირებული, რომ ცხოველური და მცენარეული, როგორც მაკრო ისე მიკრო ორგანიზმები გამოიმუშავებენ განსაკუთრებული თვისებების მატარებელ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უშლიან და ამუხრუჭებენ მრავალი დაავადებების გამომწვევი მიკროფლორის ზრდა-განვითარებასა და გამრავლებას. მათ უწოდეს ანტიბიოტიკები (ბერძ. „ანტი“-საწინააღმდეგო და „ბიოს“ სიცოცხლე). ასეთი სახელდება მათთვის პირობითია და ზუსტად არ ასახავს მის ფუნქციურ დანიშნულებას. ანტიბიოტიკები ხომ, ძირითადად ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად გამოიყენებ.

მსოფლიოში დღეისათვის, (აქტიურობის ერთეულზე გადაანგარიშებით) იწარმოება რამოდენიმე ათასეული ტონა ანტიბიოტიკი. მათი ყოველმხრივი შესწავლის მიზნით შექმნილია ასეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები. ამ სამკურნალო ნივთიერებების გარეშე, ამჟამად არც ერთი აფთიაქი და სამკურნალო დაწესებულება არ მუშაობს. ანტიბიოტიკების არსებობის შესახებ დღეს, სკოლის მოსწავლეებმაც კი კარგად იციან. ანტიბიოტიკები წარმატებით გამოიყენბა ვეტერინარულ და სამედიცინო სფეროში, მრავალი საშიში ინფექციური დაავადებაბის წინააღმდეგ.

ანტიბიოტიკების უმრავლესობა თავიანთი მოქმედების შედეგების მიხედვით მიეკუთვნება ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც მიკრობების ზრდა- განვითარებას აჩერებენ. ზოგიერთი ანტიბიოტიკები მხოლოდ მაღალი დოზებით გამოყენებისას ახდენენ მიკრობების დაღუპვას. მათ გააჩნიათ აგრეთვე გამორჩეულობის თვისება,ანუ მოქმედებენ კონკრეტულად განსაზღვრულ და არა ყველა სახის მიკრობებზე. ეს თვისებაა პირველ რიგში გასათვალისწინებელი, სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ ანტიბიოტიკების დანიშვნის დროს. ანტიბიოტიკების სამკურნალო მოქმედება მარტო ანტიმიკრობული თვისებებით არ შემოიფარგლება. ისინი ახდენენ სასარგებლო ზემოქმედებას მთლიან ორგანიზმზე: ამაღლებს მის გამძლეობას რიგი დაავადებების მიმართ, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს მოზარდი ცხოველების ზრდის ტემპის დაჩქარებას. ამდენად ანტიბიოტიკები არა მარტო თრგუნავენ

მიკრობების განვითარებას, არამედ ეხმარებიან ცხოველის თუ ადამიანის ორგანიზმს თვითონვე გაუმკლავდნენ დაავადებას.

ვეტერინარიაში ანტიბიოტიკები საკმაოდ ფართე სპექტრით გამოყენება რიგი საშიში ინფექციების, როგორც პროფილაქტიკის ასევე მკურნალობის დროს (ღორის წითელი ქარი, ფრინველის ტიფი და პულუროზი, ნეკრობაქტერიოზი, პარატიფი, ფილტვების დაავადებები, მასტიტები-ცურის ანთება, საშოსა და საშვილოსნოს ანთება-მეტრიტები და ენდომეტრიტები, კუჭნაწლავის ანთებითი დაავადებები და სხვ.).

პირველი ანტიბიოტიკი, რომლის გამოყენებითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ ერას ამ სასწაულმოქმედი პრეპარატის გამოყენების საქმეში არის პ ე ნ ი ც ი ლ ი ნ ი. ის მიღებული იქნა სოკო პენიცილიუმის მწვანე მასისაგან. ამ ანტიბიოტიკის, როგორც სამკურნალო პრეპარატის ფხვნილის სახით დამზადება პირველად მოხერხდა მეცნიერ-ბიოქიმიკოს ფლორი-ს მიერ 1938 წელს. მანამდე , დიდი ხნით ადრე სახალხო მედიცინაში ის ნატური მწვანე ობის სახით წარმატებით გამოყენებოდა ჩირქოვანი ჭრილობისა და ქრონიკული წყლულების სამკურნალოდ. ამ პრეპარატისა შემდგომი თაობის ანალოგები (ბიომიცინი, ბიოვეტინი, ტერამიცინი, ტეტრაციკლინი სინტომიცინი და სხვ.) წარმატებით იყო გამოცდილი და დანერგილი პრაქტიკაში. დღეს მაღალი ეფექტიანობითაა გამოყენებული უახლოესი თაობის ანტიბიოტიკური პრეპარატები.

8. ფიტონციდები

გასულ საუკუნეში (1928წ.) მეცნიერ ბ.ტოკინ-ის მიერ, მცენარეებიდან გამოყოფილი იქნა ანტიბიოტიკური თვისებების მატარებელი განსაკუთრებული სახის ნივთიერება, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ფიტონციდი“ (ბერძ. ფიტონ მცენარე და ლათ. ცედერე-განადგურება). ასეთი ნივთიერებები დამღუპველად მოქმედებენ ნაწლავისა და დიფტერიის ჩხირებზე, მაღაოს, წითელი ქარისა და სხვა დაავადებების აღმძვრელებზე. ფიტონციდებით მდიდარია ხახვი, ნიორი, ალოე, არყის ხე, ფიჭვის წიწვი და მრავალი სხვა). ფიტონციდებით მდიდარი მცენარეებით ცხოველთა კვება კეთილსასურველ გავლენას ახდენს მათ ორგანიზმზე, იმ გაგებით რომ: ხელს უწყობენ საჭმლის მონელების პროცესის გააქტიურებას; ამდიდრებენ ვიტამინებით და აუმჯობესებენ ნივთიერებათა ცვლას. საპირისპიროდ ამისა, მაღალი დოზებით ისინი იწვევენ ძლიერ ინტოქსიკაციებს. ხალხურ ვეტერინრიაში ფიტონციდები, დიდი ხანია გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. ყველაზე მეტად ეფექტურად ის ზემოქმედებს ქირურგიული პათოლოგიების დროს (ჭრილობა, დამწვრობა, ადგილობრივი ანთებითი პროცესები, წყლულოვანი წარონაქმნების შეხორცების გაჭიანურებული პროცესი და სხვა).

9. ცხოველთა მოწამვლების დროს გამოსაყენებელი პირველადი დახმარების საშუალებები

ცხოველთა მოწამვლების მიზეზი შეიძლება გახდეს შხამიანი ნივთიერებების საკვებში და წყალში მოხვედრა, ასევე ბუნებრივ თუ ხელოვნურ საძოვრებზე, ქიმიკატების არარაციონალურად შეტანით დაბინძურებული მცენარეული საფარი, ამასთან ირღვევა თვით საკვების დამზადების აგროტექნოლოგიური პროცესი. ქიმიური ნივთიერებები დღეისათვის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ფართე მასშტაბებით გამოყენება. ესაა, პირველ რიგში მინერალური სასუქები, მცენარეთა პარაზიტული დაავადებებისაგან დამცავი საშუალებები, ასევე სარეველების, ადამიანებისა თუ ცხოველების ინფექციურ დაავადებათა გადამტანების, საყოფაცხოვრებო არეში არსებული მავნე მწერების საწინააღმდეგო პრეპარატები. ისინი იხმარება აგრეთვე ექტოპარაზიტების გასანადგურებლად და მარცვლის მარაგისა და მცენარეული და ცხოველური პროდუქტების მწერებისა და მიკროორგანიზმებისაგან დასაცავად.

მცენარეთა დამცავი ქიმიკატები ზოგადი განმარტებით იწოდებიან პესტიციდებად (ლათ. პესტის- ინფექცია, გადამდები სენი და ციდო-მოკვდინება, ანუ გადამდები სნეულებების აღმძვრელთა-მავნებლების მოსპობა). სინონიმად იხმარება ტერმინი „შხამქიმიკატები“. ცხოველთა მოწამვლების ხშირი შემთხვევები აღინიშნება გაფუჭებული კონცენტრატებით კვებისას (ჩაობებული, ჩამწარებული, გადამჟავებული, ხანგრძლივად შენახული- „ჩაწოლილი“ მარცვლეული). ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია ტოქსიკური სოკოებით დაინფიცირებული საკვები, რომლის მიმართ მგრძნობიარეა თითქმის ყველა სასოფლო სამეურნეო სხოველი. მოწამვლების დროს ხდება კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციის აშლილობა, რასაც იწვევს შხამქიმიკატების შემადგენლობაში შემავალი, საკვების განმხრწნელი ნივთიერებების სიჭარბე.

ბალახისმჭამელი ცხოველები მინდვრებსა და საძოვრებზე ავადდებიან, ბალახის საფარველში შეზრდილი შხამიანი მცენარეების მიღებისას. აღსანიშნავია, რომ მცენარეთა საერთო სახეობრივი რაოდენობის დიდი ნაწილი (2%) მომწამვლელია,რაც რაოდენობრივად 10 ათასს აჭარბებს. დამაზიანებელი მოქმედების გამომწვევია რთული აზოტოვანი შენაერთები-ალკალოიდები, სპირტისა და შაქრების შენაერთები, მჟავები და სხვა ნივთიერებები ე.წ. გლიკოზიდები, მცენარეული საპნები-საპონინები, კამფორის მსგავსი რთული აქროლადი მცენარეული ზეთები, მწკლარტე ნივთიერებები, ტოქსალბუმინები, სხვადასხვა ფისოვანი შენაერთები, ნახშირწყალბადები, ორგანული მჟავები და სხვ.

ცხოველთა მოწამვლის კლინიკა უმთავრესად მოულოდნელად გამოვლინდება და ძალიან სწრაფად და მძიმედ მიმდინარეობს, ამიტომ აუცილებელია პირველადი

გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ვეტერინარი ექიმი ჩაერეოდეს სამკურნალო პროცესში. პირველ რიგში ეს არის სავარაუდო მომწამლელი აგენტისაგან ცხოველის გარიდება, საკვების შეცვლა და საფაღარათო საშუალებების მიცემა.

დასკვნა

წინამდებარე მასალა ვეტერინარიისა და ვეტერინარი ექიმის საქმიანობის შესახებ დღევანდელობის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. ქვეყნის სახალხო მეურნეობის საციცოცხლოდ აუცილებელი დარგის-მეცხოველეობის განვითარება და მისი ეფექტიანად წარმართვა, გადამწყვეტწილად ცხოველთა ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე არის დამოკიდებული. ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია ადამიანთა საზოგადოების საჭირბოროტო პრობლემებთან, ანუ მისი თითოეული წევრის ჯანმრთელობასა და კეთილღეობაზე ზრუნვასთან. ეს ზრუნვა გამოიხატება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, ბიოლოგიურად სუფთა, და ვეტერინარულ-სანიტარული თვალსაზრისით უვნებელი მეცხოველეობის ნედლეულითა და პროდუქტებით მომარაგებაში. ვეტერინარული მომსახურებით ჯეროვანი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ცხოველთა სულადობის ჯიშობრივი გაუმჯობესება, პირუტყვის ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მოძიება, აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო აქტუალური თემაა და დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობასთან ერთად სერიოზული სოციალური დატვირთვაც აქვს.

ამდენად, ჩვენი ეპოქის მოთხოვნებმა ვეტერინარი ექიმის წინაშე დააყენა ახალი, რთული ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს, როგორც მათი ცოდნის დონის სისტემატიურ ამაღლებას, ინტელექტუალური თვისებების ჩამოყალიბებას და მეცნიერულ მიღწევათა შეცნობის ფონზე მათ ყოველდღიურ სრულყოფას, ასევე მოქალაქეობრივი ზნეობისა და ეთიკის ნორმების დაცვას.

სახელმწიფო ვეტერინარიის საქმიანობა ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის მეტი ეფექტის მომტანი და სარგებლიანი რომ გახდეს პირველი რიგის ამოცანად უნდა დაისახოს და დროულად გადაწყდეს სპეციალისტთა მომზადების საქმე. ამ საკითხისადმი სწორი მიდგომის ეელემენტები საძიებელია ჯერ კიდევ მანამ, სანამ, მომავალი სპეციალისტი აღმოჩნდებოდეს უმაღლესი სასწავლებელის აუდიტორიაში. თუ ახალგაზრდები არ არიან მოწოდებული გახდნენ მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები, კარძოდ ვეტერინარი ექიმები და სასწავლებლის არჩევა ხდება სხვადასხვა, მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც გაუგებარი თუ ბუნდოვანი ქვემიზნებით, ამან ზიანის მოტანა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ და ქვეყნის საკადრო პოლიტიკაზე უარყოფითი ასახვა ჰპოვოს.

ქვეყანაში აუცილებელია არსებობდეს, ვეტერინარული პროფილის ყოველმხრივ აღჭურვილი და სერთიფიცირებული უმაღლესი სახელმწიფო საგანმანათლებლო სკოლა, რომელსაც სხვა სასწავლებელთა შორის, კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ექნება გამოკვეთილი უპირატესობა. ამის უზრუნველყოფა პირველ რიგში მიიღწევა მაღალკვალიფიციური და ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟის მქონე ლექტორთა მოძიებე-დასაქმებით. მეორე საკითხი რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ვეტერინარი ექიმების მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებას არის უმაღლესი სასწავლებლის აღჭურვა თანამედროვე უახლესი, ევროპული დონის ლაბორატორია-დანადგარებითა და სასწავლო თვალსაჩინოებებით. ამასთან სერიოზული მნიშვნელობა აქვს სტუდენტის მიერ პრაქტიკული, სპეციფიკური ვეტერინარული საქმიანობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განმტკიცებას. ამისათვის აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდეს, საკუთარი საწარმოო ბაზა ცხოველთა ფერმებისა და სხვა აუცილებელი ობიექტების სახით.

უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის, ვეტერინარულ ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის საციცოცხლოდ აუცილებელია სწავლების ისეთი სქემის შემოღება და დანერგვა, რომელიც დამყარებული იქნება მაპროფილებელი საგნების უპირატესობის პრინციპზე, მაქსიმალურად გამოირიცხება „გვერდითი მოქმედების“, უსარგებლო და ზიანის მომტანი, აკადემიური-საგნობრივი ბალასტით სტუდენტთა გონების „დაჭუჭყიანება“. ანუ აქცენტის გამახვილებაა საჭირო იმაზე, რომ სწავლების სრული 5 წლიანი კურსი აგებული იქნეს პროფესიული ჩვევების გამომუშავებასა და მის პრაქტიკულ რეალიზაციაზე. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება სტუდენტობის პერიოდშივე თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების შეძენის სინქრონიზაციით. როგორც ზემოთ ითქვა ერთ-ერთი მტკივნეული და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი, რომელმაც ბოლო 15-20 წელია პრობლემატიკური ხასიათი შეიძინა, არის მაღალი კვალიფიკაციის მდიდარი პედაგოგიური სტაჟის მქონე ლექტორთა და პედაგოგთა მოძიება, მობილიზება და დასაქმება. დღეს ქვეყანაში შექმნილია ამ კატეგორიის ადამიანთა მწვავე დეფიციტი და მისი შევსების რეზერვები თითქმის ამოწურულია.

ყოველივე თქმული გვკარნახობს სახელმწიფოს მიერ ვეტერინარული საქმიანობის პრიორიტეტად ცნობის აუცილებლობას; უმაღლესი ვეტერინარული განათლების სისტემის რეაბილიტაციას და თანამედროვე ევროპულ რეგულაციათა შესაბამისობაში მის მოყვანას; ქვეყანაში ვეტერინარ ექიმთა რესურსის მოძიებასა და შესწავლას, ასევე ამ დარგის სხვადასხვა სფეროში მათ რაციონალურად დასაქმებას მაღალანაზღაურებადი დაინტერესებით; სამეცნიერო ვეტერინარულ სივრცეში ჩასატარებელი აუცილებელი კვლევითი სამუშაოებისათვის შესაბამისი დონის ლაბორატორიების შექმნასა და სრულყოფილად აღჭურვას.

ამასთან უნდა ითქვას, რომ სამკურნალწამლო საშუალებების გამოყენება ცხოველებსა და ადამიანებში, თითქმის პარალელურ რეჟიმში დაიწყო, და ეს საუკუნეების წინათ მოხდა. თავდაპირველად მცენარეების ნატურალური-ნედლი სახით გამოყენება წარმოებდა. ადამიანის შეგნებული და მიზანმიმართული საქმიანობა ამ სფეროში, თანდათანობით გადავიდა ინდუსტრიულ რელსებზე და ის მეგა-პროცესად შეიძლება დღეს ჩაითვალოს. მას ალტერნატივა არა აქვს. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს და მომავალშიც არ შეწყდება, ანუ პერმანენტულად გაგრძელდება ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა ახალი და ახალი წამლების მიღება-გამოცდისა და დანერგვის მიზნით. ანუ ეს „ცოცხალი ორგანიზმია“.ადამიანის მოღვაწეობის ამ სფეროს ემსახურება მეცნიერების ის დარგი, რომელიც ფარმაციის სახელით არის ცნობილი.